

THE MANIFESTATION OF LINGUISTIC MASTERY IN THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN: THE ROLE OF THE POSTPOSITIONAL SUFFIX IN THE FORMATION OF RHYTHMIC STRUCTURE

ენობრივი ოსტატობის გამოვლინება „ვეფხისტყაოსანში“: სავრცობის გამოყენების როლი რითმული სტრუქტურის შექმნაში

Mariam Tsikaridze

Invited expert of Gori State University,
Gori, chavchavadze st., #53, 1400, Georgia
Doctoral student at the Faculty of philology of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ilia tchavtchavadze Ave, Building 3, 11b, Georgia,
+995598896144, tsikaridzemariam125@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-1724-1449>

Abstract. This paper explores the linguistic structure of Shota Rustaveli's epic poem The Knight in the Panther's Skin, focusing specifically on the relationship between suffixation (savrtstobi) and rhyme. The research identifies and analyzes instances where suffixation serves a grammatical function and where it is employed solely for the purposes of rhyme and metrical consistency. Particular attention is given to the poem's strict metrical scheme and the impact it has on linguistic forms. Through close textual analysis, the study reveals that Rustaveli skillfully preserved or adapted grammatical norms to achieve poetic effect. This research highlights the dynamic interplay between linguistic form and poetic content in The Knight in the Panther's Skin, demonstrating how the flexible use of suffixation contributes to the poem's aesthetic harmony and stylistic refinement.

Key words: Rhyme, Scope, Poem, Analysis, Linguistic analysis.

მარიამ წიქარიძე

მოწვეული სპეციალისტი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში
გორი, ჭავჭავაძის გამზ. #53, 1400, საქართველო,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი III, 11ბ,
+995598896144, tsikaridzemariam125@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-1724-1449>

აბსტრაქტი. ამ ნაშრომში შესწავლილია შოთა რუსთაველის ეპიკური პოემის, ვეფხისტყაოსნის, ენობრივი სტრუქტურა, განსაკუთრებული ყურადღებით სავრცობისა და რითმის ურთიერთმიმართებაზე. კვლევა ფოკუსირებულია იმ შემთხვევების გამოვლენასა და ანალიზზე, როდესაც სავრცობი ემსახურება გრამატიკულ წესრიგს და როცა იგი მხოლოდ რითმული სტრუქტურის უზრუნველსაყოფად გამოიყენება. განხილულია შაირის მეტრული მოთხოვნები და მათი გავლენა ენობრივ ფორმებზე. ტექსტის საფუძვლიანი ანალიზი გვიჩვენებს, რომ რუსთაველი იცავდა ან ცვლიდა ენობრივ ნორმებს პოეტური ეფექტის მისაღწევად. ნაშრომი ააშკარავებს ვეფხისტყაოსნის ენობრივ დინამიკას და ამტკიცებს, რომ სავრცობის მოქნილი გამოყენება პოემის მხატვრულ ჰარმონიას და სტილისტურ სრულყოფილებას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: რითმა, სავრცობი, პოემა, ანალიზი, ენობრივი ანალიზი.

შესავალი. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ უძველესი ქართული ლიტერატურის მწვერვალია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც შინაარსობრივი სიმდიდრით, ასევე ენობრივი ოსტატობით. ენა მოითხოვს სინტაქსურ-მორფოლოგიური წესების დაცვას, თუმცა, როგორც ლიტერატურულ ტექსტში, აქ ხშირად იყენებს ავტორი ენობრივ ნორმებს მოქნილად, ტექსტის სასარგებლოდ, განსაკუთრებით როდესაც რითმაზეა საუბარი.

ამ კვლევის მიზანია, გამოვკვეთოთ როგორ იყენებს შოთა რუსთველი ა სავრცობს „ვეფხისტყაოსანში“ რა შემთხვევებში იცავს ის გრამატიკულ ნორმებს და რა შემთხვევაში ამსუბუქებს ან ცვლის რითმის სასარგებლოდ მას. ნაშრომში გავანალიზებთ კონკრეტულ სტროფებს, სადაც ენობრივი სტრუქტურის ცვლილება დაკავშირებულია რითმასთან; გამოვიკვლიოთ, წარმოადგენს თუ არა ეს ცვლილებები სისტემურ მოვლენას და როგორია მათი გავლენა ტექსტის საერთო ჰარმონიაზე.

მეთოდები. შრომების გასანალიზებლად ვიყენებთ ინტერპრეტაციის, ჰერმენევტიკულ, კომპარატივისტიკულ და შედარებით ტიპოლოგიურ მეთოდებს, სინთეზური ანალიზის მეთოდს.

შედეგები და მსჯელობა. მორფოლოგიური თვალსაზრისით ძველ ქართულ გრამატიკაში სავრცობს თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი აქვს როგორც სახელების, ისე ზმნის შემთხვევაში. სავრცობი გამოიყენებოდა მხოლოდ რიცხვისა და ებ-იანი მრავლობითის სამი ბრუნვის ფორმასთან: მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. იგი მიიჩნეოდა როგორც ნაწევრის ნაშთი, ასევე გვხვდება თ-ანიან მრავლობითშიც. სავრცობი გამოიყენებოდა მხოლოდ საზოგადო სახელებთან, საკუთარ სახელებთან და ზოგიერთ ნაცვალსახელთან კი- არა.

„ძველი ქართულის მიმართულებითი ბრუნვა საზოგადო სახელებში არ განსხვავდება გავრცობილი ნათესაობითისაგან, მაგრამ საკუთარ სახელებში იგი განსხვავებული იყო. მათგან ა-ს დართვით: მიავლინა უფლისა, მაგრამ მიავლინა დავითისა. მსგავსად ამისა, მიმართულებითი გვაქვს მე-3 პირის ნაცვალსახელებშიც: მიავლინა მისა, მიავლინა მათა. მაგ: მიავლინა იგი (იესუ) ანა კრუელი კაიაფასა მღვდელთ მოძღურისქა (ი.18,24); მიავლინა მისა ორნი მოწაფენი. (მ. 11,12); მერმე კულად მიავლინა მათა სხუაი მონაი (მრ.12,4) ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიასა (მ.17,4). (შანიძე, 1976: 32).

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალი მაგალითი მოიპოვება, სადაც სავრცობიანი ფორმა გამოყენებული, ზოგან დაცულია მისი გამოყენების წესი, ზოგან კი მხოლოდ რითმისთვის არის შემოტანილი.

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მკაცრად არის განსაზღვრული რითმა და შაირი, პოემის თითოეული ტაეპი 16-მარცვლიანი შაირითაა დაწერილი. ტაეპების განხილვის დროს ერთმანეთისგან განირჩევა მაღალი და დაბალი შაირი. 4-4-ზე გადანაწილებული მარცვალთა რაოდენობა დაბალი შაირის მაჩვენებელია, ხოლო 3-5-ზე კი დაბალი შაირისა. შოთა რუსთველის პოემაში სიტყვა ყოველთვის მეტრული ერთეულია, რომელიც ქმნის უზომოდ დახვეწილსა და მოწესრიგებულ ფორმებს. საზოგადოდ ცნობილია, რომ ლექსის პროსოდოული ელემენტების კვლევისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მის მეტრულ მახვილზე, რადგან მისი ადგილი ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სიტყვიერი მახვილის ადგილს ტაეპში. ტაეპი ეს არის ტალდა, რომლის ინტონაციურ-ესთეტიკური კონტურის დადგენა მნიშვნელოვანია, ამავდროულად შაირთან შეფარდება, აქედან გამომდინარე. ისედაც კეთილხმოვანი პოემისათვის სავსებით ბუნებრივია სავრცობის მოქნილი გამოყენება. პოემაში თითოეული ტაეპი გარითმულია, რიტმის ზეგავლენით იქმნება ჰარმონია.

„ვეფხისტყაოსნის“ შაირობაზე სამეცნიერო სტატიებში საუბარი ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობს: პოეტური სტრატეგიისა და შაირის გამოყენების კონტექსტში. რუსთველის პოეტური სტრატეგია მოიცავს ენობრივი ფორმების მოქნილ გამოყენებას, რათა შეიქმნას ლექსიკური ჰარმონია და რითმული სტრუქტურა. სავრცობი, როგორც მორფოლოგიური ერთეული, ხშირად გამოიყენება რითმისთვის, რაც აძლიერებს პოემის მუსიკალურობასა და რითმულ სტრუქტურას.

კვლევები აჩვენებს, რომ რუსთაველი ხშირად არღვევს გრამატიკულ ნორმებს, რათა შექმნას სასურველი რითმული ეფექტი. ეს მიდგომა ხაზს უსვამს პოეტური თავისუფლების მნიშვნელობას და ენობრივი ფორმების მოქნილ გამოყენებას.

ამგვარი სტრატეგია არა მხოლოდ ენობრივ, არამედ სტილისტურ დონეზეც მოქმედებს, რადგან სავრცობის გამოყენება ქმნის პოემის რითმულსა და სტილისტურ ერთიანობას. ამიტომ, სავრცობის გამოყენება „ვეფხისტყაოსანში“ წარმოადგენს პოეტური სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც აძლიერებს ტექსტის რითმულსა და სტილისტურ ეფექტებს. განვიხილოთ ტაეპები თვალსაჩინოებისთვის:

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა.“ - მოცემულ ტაეპში ორჯერ არის სავრცობი გამოყენებული „ძალითა“ და ძლიერითა, ორივე შემთხვევაში სავრცობი გამოყენებულია მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან, ეს კი ძველი ქართული ენისათვის მისაღებია. ამ შემთხვევაში სავრცობები ასრულებენ არა მხოლოდ გრამატიკულ ფუნქციას, არამედ რითმული სტრუქტურის ნაწილსაც. პოეტი ოსტატურად იყენებს გრამატიკულ ფორმებს, რათა შეიქმნას ლექსის მუსიკალურობა და სიმეტრია. შემდეგ ტაეპში „ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული...“ მოცემულ ტაეპში „ა“ სავრცობი ორ სიტყვასთან გვხვდება, ნაცვალსახელთან „ვინცა“ და არსებით სახელთან- „გულსა“, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძველი ქართული ენისათვის ნაცვალსახელთან სავრცობი არ გამოიყენებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში ავტორი იყენებს მას, როგორც რითმისთვის საჭირო ატრიბუტს. არსებით სახელთან კი სავსებით ბუნებრივად გამოყენებული. სწორედ სავრცობის გამოყენებით იქმნება ხშირ შემთხვევაში 16-მარცვლიანი შაირიც პოემაში.

„ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა.“ მოცემულ ტაეპში სავრცობი გამოიყენება როგორც გრამატიკული ფუნქციის შესასრულებლად, ასევე რითმის ფორმირებისთვის; „ჩემთა“ არის ნაცვალსახელი, მასზე სავრცობის დართვა გრამატიკული წესების მიხედვით უჩვეულოა, ამ შემთხვევაში რითმის ფორმირებისთვისაა გამოყენებული. „სპათასა“ - მოცემულ შემთხვევაში დაცულია მოქმედებით ბრუნვასთან სავრცობი გამოიყენება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამითიც რითმა ფრმირდება, არა მარტო ტაეპში, არამედ მთელ სტროფს გასდევს მოცემული ბგერები რითმად.

159. „ვარ უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა,

ამისთვის გნუკევ სმენასა შენ ამა ჩემთა ხმათასა:

ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა,

ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა.“

მოცემულ სტროფში სავრცობი დართული აქვს ნაცვალსახელსაც „სხვათასა“, „საქმესა“, „განდობასა“ ორივე შემთხვევაში არის არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში გავრცობილად. როგორც ვხედავთ, ძირითადად გრამატიკული ნორმები ირღვევა ნაცვალსახელის გამოყენებით, რათა შეიქმნას რითმა და შესრულდეს 16-მარცვლიანი შაირის ფორმა. ასევე აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპებში სავრცობის გამოყენება ხშირად ემსახურება არა მხოლოდ ლექსის რითმულ სრულყოფილებას, არამედ მის სტილისტურ გამდიდრებასაც. სავრცობიანი ფორმები ტექსტს აძლევს სიმსუბუქეს, ზომიერ მუსიკალურ რიტმს, რაც თავის მხრივ, ამაღლებს ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებას. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ შოთა რუსთველი, მართალია, ზოგჯერ არღვევს ძველი ქართული ენის მორფოლოგიურ ნორმებს, მაგრამ ეს დარღვევა არ აისახება შინაარსზე, პირიქით უფრო სრულყოფილად

გადმოსცემს ტექსტის შინაარსსაც. ავტორი შეგნებულად იყენებს ენობრივ ფორმებს, რათა უფრო ძლიერი მხატვრული ეფექტი შექმნას. მაგალითად, ნაცვალსახელთან სავრცობის დართვა ძველი ქართული ნორმების მიხედვით უჩვეულოა, მაგრამ რუსთველთან სწორედაც რომ მომგებიანია იმისათვის, რომ ტაეპში შენარჩუნდეს შაირის მკაცრი ზომა და გააძლიეროს ინტონაციური ჰარმონია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სავრცობის არსებობა არა მხოლოდ შაირის მოთხოვნით არის განპირობებული, არამედ იდეის ხაზგასმის მიზნითაც. მაგალითად, როდესაც პოეტი ხაზს უსვამს საგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ან მასზე მიმართავს ყურადღებას, იგი ხშირად იყენებს სავრცობიან ფორმებს, რაც ტექსტში გარკვეულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის მაგალითს ვხედავთ ტაეპში: „ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა.“ აქ სავრცობიანი ფორმები („ამა“, „სხვათასა“) გამოკვეთილად აძლიერებს მნიშვნელობას, საქმე - არა უბრალოდ საქმეა, არამედ „ამა სსაქმეა“- კონკრეტული და განსაზღვრული; ხოლო „სხვათასა“ - ხაზს უსვამს სხვაობასა და განსხვავებას. განსაკუთრებით საინტერესოა ის ტენდენცია, რომ პოეტი სავრცობს ხშირად ურთავს ისეთ სიტყვებს, რომელთა ბუნებრივ ფორმაშიც ნაკლებად გამოიყენება. ეს გვიჩვენებს მის დამოკიდებულებას და შეგნებულ დამოკიდებულებას პოეტური ენის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთველის ენობრივი სტრატეგია ერთდროულად ეფუძნება ძველი ქართული ენის ტრადიციას და ამავედროულად არღვევს მას პოეტური მიზნების მისაღწევად. სავრცობის მოქმედი გამოყენება „ვეფხისტყაოსანში“ ქმნის ტექსტის უნიკალურ მუსიკალურობასა და სტილისტურ ჰარმონიას, რაც კიდევ უფრო გამოჰკვეთს პოემის მხატვრულ სიდიადეს.

დასკვნა. შოთა რუსთველის, ვეფხისტყაოსანი” თავის მხატვრულ სიდიადეს არამხოლოდ სიუჟეტური სიუხვითა და იდეური სიმდიდრით, არამედ ენობრივი ოსტატობითაც აღწევს. პოემის ტექსტი წარმოადგენს ძველი ქართული ენის სინტაქსურ-მორფოლოგიური სტრუქტურების მრავალფეროვან და გონივრულად მორგებულ ნიმუშს, სადაც აშკარად შეინიშნება ავტორის მაღალი ენობრივი შეგნება და პოეტური მოხერხება. სავრცობის გამოყენება, ვეფხისტყაოსანში” არ არის შემთხვევითი ან ბრმა მიბადვა ძველი ქართული ენის წესებისა. პირიქით, შოთა რუსთველი გონივრულად და შეგნებულად მოიხმარს სავრცობიან ფორმებს, ერთდროულად იცავს გრამატიკულ კანონზომიერებას და საჭიროების შემთხვევაში არღვევს მას, რათა მიაღწიოს მეტრული სიზუსტის, რითმული სრულყოფილებისა და ლექსის ჰარმონიულობის უმაღლეს დონეს. ავტორი ხშირად ამატებს სავრცობს ნაცვალსახელებთანაც, რაც ძველ ქართულში ნორმად არ ითვლებოდა, მაგრამ რითმისა და სტილისტური მთლიანობისათვის აუცილებელი ხდებოდა. სავრცობი, ვეფხისტყაოსნის” ტაეპებში მრავალი ფუნქციით გვევლინება: იგი არის როგორც სინტაქსური წესების დამცველი, ასევე მუსიკალური სტრუქტურის შემქმნელი და ტექსტის ესთეტიკური მთლიანობის განმსაზღვრელი ელემენტი. სწორედ სავრცობის მოქნილი და შეგნებული გამოყენება განაპირობებს პოემის ინტონაციურ დინამიკას, ტაეპების სიღრმესა და მხატვრულ გამოხატულებას. შოთა რუსთველის მიერ რითმისა და შაირის ფორმებისათვის გრამატიკული ნორმების მიზნობრივი გადახედვა გვაჩვენებს, რომ ენასთან მოქნილი და შემოქმედებითი დამოკიდებულება შეუძლია მკითხველს არამხოლოდ ფორმალური წესების ცოდნის, არამედ მათი გამოყენების ხელოვნების დემონსტრირებას. ასეთ მიდგომაში ენობრივი ნორმების დარღვევა აღარ წარმოადგენს სისტემურ შეცდომას, არამედ ხდება ნაწარმოების მხატვრული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი.

ამრიგად, “ვეფხისტყაოსანში” სავრცობის გამოყენება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც აძლიერებს პოემის მხატვრულ სიდიადეს, უზრუნველყოფს ტექსტის მუსიკალურ და რითმულ ერთიანობას და ავლენს ავტორის ენობრივ ოსტატობას, რაც ქართული პოეზიის ისტორიის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალად აქცევს ამ ნაწარმოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ელბაკიძე, მ. (2005). *ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ სარაინდო რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში*. თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან:
http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/Elbakidze_Book.pdf
- კვაჭაძე, ლ. (2010). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი: ცოტნე.
- რუსთაველი, შ. (2013). *ვეფხისტყაოსანი*. თბილისი: მერიდიანი.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (1996). *ქართული ენის სინტაქსი*. ქუთაისი: სტამბის საგამომცემლო ცენტრი.
- შანიძე, ა. (1976). *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

REFERENCES

- elbakidze, m. (2005). *vepkhist'qaosnis p'oet'ik'is zogierti sak'itkhi shuasauk'uneebis prangul saraindo romantan t'ip'ologiur mimartebashi* [Some of the issues of tiger poetics in relation to the medieval French Knight Novel in relation to typology]. Tbilisi. Retrieved from
http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/Elbakidze_Book.pdf
- k'vach'adze, l. (2010). *tanamedrove kartuli enis sint'aksi* [Syntax of the modern Georgian language]. Tbilisi: Tsotne.
- rustaveli, sh. (2013). *vepkhist'qaosani* [The Knight in the Panther's Skin]. Tbilisi: Meridiani.
- peikrishvili, zh. (1996). *kartuli enis sint'aksi* [Georgian language syntax]. Kutaisi: Publishing Center.
- shanidze, a. (1976). *dzveli kartuli enis gramat'ik'a* [Grammar of Old Georgian language]. Tbilisi: Tbilisi University Publishing.